

იმპლიციური მეხსიერების ფორმირება ნებითი და უნებლიე დასწავლის პირობებში

ბარბარე კუბლაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (მოლეკულური
ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები): ნეირომეცნიერებები (LFNEURO)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, სრული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ანა ტიკარაძე, ფსიქოლოგიის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბარბარე კუბლაშვილი

2025

აბსტრაქტი

იმპლიციტური მეხსიერება წარმოადგენს ცოდნას, რომელიც ჩვენთვის ცნობიერი არ არის და რა საჭიროებს მის ვერბალურად გადმოცემას. ვლინდება მაშინ, როდესაც წარსული გამოცდილება ამარტივებს დავალების შესრულებას, რომელიც არ მოითხოვს არსებული ცოდნის განძრახ და ცნობიერ გახსენებას (Gazzaniga, 2019, 390). მას მიეკუთვნება პრაიმინგი, რომელზეც დაკვირვება არ კარგავს აქტუალურობას, თავის ტვინის დაზიანებების, დაბერების და დემენციის დროს მისი მდგრადობის გამო.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა პრაიმინგის ფორმირების დადგენა დასწავლის განსხვავებულ პირობებში და კონსოლიდაციის ეფექტურობის კავშირის დადგენა ძილის ხარისხთან მიმართებაში.

კვლევა ჩატარდა 39 ზრდასრულ (20-35 წლამდე), ორივე სქესის წარმომადგენელ ადამიანებზე. მათი ძილის ხარისხის დასადგენად გამოყენებულ იქნა PSQI (Pittsburg Sleep Quality Index) და ESS (Epworth Sleepiness Scale) ძილიანობის კითხვარები. კვლევაში მონაწილეებს დაევაღათ განმეორებითი ვიზუალური პრაიმინგის დავალებების შესრულება, რისი საშუალებითაც შედარებულ იქნა ნანახი ობიექტების ამოცნობის დრო. მოცემული კვლევიდან ჩანს, რომ განმეორებითი პრაიმინგი ვლინდება არაცნობიერი დასწავლის შედეგად. ნებითი დასწავლის დროს (ვიზუალური დასწავლისას) იზრდება პრაიმინგის ეფექტები. ძილის რეჟიმის დარღვევა (დღის ძილიანობა) ამცირებს დავალებაზე რეაქციის პასუხის დროს და აქვეითებს კოგნიტურ სიფხიზლეს.

სამიუბო სიტყვები: იმპლიციტური მეხსიერება, პრაიმინგი, დასწავლა, განმეორებითი პრაიმინგი.

Abstract

Implicit memory refers to knowledge that is not conscious to us and doesn't require verbal expression. It manifests when past experience facilitates the performance of a task that doesn't require intentional and conscious recall of existing knowledge (Gazzaniga, 2019, 390). This includes priming, which remains a relevant area of observation due to its resistance to brain injury, aging, and dementia.

The aim of the present was to determine how priming is formed under different learning conditions and to explore the relationship between the effectiveness of consolidation and sleep quality.

The study was conducted on 39 adults (aged 20-35), including individuals of both sexes. To assess their sleep quality, we used the Pittsburgh Sleep Quality Index (PSQI) and the Epworth Sleepiness Scale (ESS). Participants were tasked with completing repeated visual priming tasks, which allowed for comparison of the recognition time of previously seen objects.

The study shows that repeated priming occurs as a result of unconscious learning. During intentional learning (specifically visual learning), the effects of priming are increased. Disruption of sleep patterns (such as daytime sleepiness) reduces response times in tasks and lowers cognitive alertness.

Key words: Implicit memory, priming, learning, repetition priming.